ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი ს ა ბ ჭ ო

ქ. ბათუმი 15 ოქტომბერი 2010 წელი

გადაწყვეტილება № 3

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში წარჩინებულ სტუდენტთათვის სახელობითი სტიპენდიის დაწესების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 11 ოქტომბრის №9 დადგენილების საფუძველზე ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთათვის დაწესდეს სახელობითი სტიპენდიები:

ა) საუნივერსიტეტო სტიპენდია - 2

– აბუსერისძე ტბელის სახელობის - 150 ლარის ოდენობით
– ფრიდონ ხალვაშის სახელობის - 150 ლარის ოდენობით

ბ) საფაკულტეტო სტიპენდია - 3

I. მუსიკის ფაკულტეტზე - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის – 100 ლარის ოდენობით
II. სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნების ფაკულტეტზე - იუსუფ კობალაძის – 100 ლარის ოდენობით,
III. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - ექვთიმე თაყაიშვილის - 100 ლარის ოდენობით

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე

წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერი: თამილა მეიშვილი